№3

მარტი, 2021წ.

ბოლნისი

გამოდის 1935 წლიდან

ფასი: 1 ლარი

ბოლნისი საუკეთესო პრაქტიკის მქონე მუნიციპალიტეტად მესამედ დასახელდა

გვ:2

მალე ბოლნისში „ზრდასრულთა განათლების ცენტრი“ გაიხსნება

გვ:2

ბოლნისის თეატრი დიდი პაუზის შემდეგ სცენას უბრუნდება

გვ:3

ბოლნისი საუკეთესო პრაქტიკის მქონე მუნიციპალიტეტად მესამედ დასახელდა

საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის (BPP) მესამე ეროვნულ კონფერენციაზე 2019-2020 წლების კონკურსში გამარჯვებული 9 მუნიციპალიტეტი დასახელდა. დაჯილდოების ცერემონიაზე, სპეციალური პრიზები და სიგელები გადაეცათ: ბოლნისის, წყალტუბოს, სენაკის, რუსთავის, ოზურგეთის, ფოთის, ქუთაისის, მარნეულისა და თელავის მუნიციპალიტეტებს. კონფერენცია, რომელსაც ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნული ასოციაციის აღმასრულებელი დირექტორი დავით მელუა და მისი მოადგილე ნათია ღვინაშვილი უძღვებოდნენ, პანდემიასთან დაკავშირებული რეგულაციების დაცვით, ერთდროულად ორ ლოკაციაზე – სასტუმროებში – „ბილტმორ თბილისი“ და „ჰილტონი ბათუმი“ მიმდინარეობდა. ღონისძიების სლოგანი იყო ,,კარგი მაგალითი გადამდებია", რომელსაც საქართველოს პარლამენტის რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის თავმჯდომარე სოზარ სუბარი და საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრის მოადგილე მზია გიორგობიანი ესწრებოდნენ. ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერით მიმდინარე პროექტის – „ეფექტიანობის და განვითარების ქსელი“ (N4ED) ფარგლებში ორგანიზებულ საუკეთესო პრაქტიკათა ეროვნულ კონფერენციას, ზუმ-პლატფორმის საშუალებით შეუერთდნენ საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის თანამშრომლობის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე – კატალინ ჰერმანი,გაეროს განვითარების პროგრამის (UNDP) მუდმივი წარმომადგენელი საქართველოში – ლუიზა ვინტონი და სამხრეთ კავკასიაში შვეიცარიის თანამშრომლობის ოფისის რეგიონული დირექტორი – დანიელ მევლი. საუკეთესო პრაქტიკის პროგრამის 2020 წლის კონკურსისთვის 13 საკონკურსო თემა შეირჩა. კონკურსში მონაწილეობა ქვეყნის 22-მა მუნიციპალიტეტმა მიიღო. BPP-ს კონკურსის მმართველმა კომიტეტმა და შეფასების კომისიამ 9 გამარჯვებული გამოავლინა. BPP-ს მმართველმა კომიტეტმა 2020 წლის კარგ პრაქტიკად აღიარა – ბოლნისის მუნიციპალიტეტის პროექტი – „ბოლნისში ბიზნეს საქმიანობის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბება“. საუკეთესო პრაქტიკის პროგრამა ევროპის საბჭოს მიერ აღიარებული და მის წევრ ქვეყნებში ფართოდ გამოყენებული ინსტრუმენტია, რომელიც მუნიციპალიტეტებში ადგილობრივი თვითმმართველობის უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული წარმატების მაგალითების გამოვლენასა და სხვა მუნიციპალიტეტებში მათ გამოყენებას ისახავს მიზნად. ,,მოხარულები ვართ, რომ ბოლნისი უკვე მესამედ გახდა საუკეთესო პრაქტიკის მქონე მუნიციპალიტეტი. ამჯერად ჩვენი წარმატება ევროკავშირის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროგრამის ,,ბოლნისში ბიზნეს საქმიანობის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბების" ფარგლებში დაფუძნებულმა აგროცენტრმა განაპირობა. ბოლნისის მუნიციპალიტეტი დიდწილად განიხილება, როგორც სასოფლო-სამეურნეო ზონა, სადაც მოსახლეობის 80% პირდაპირ თუ ირიბად სოფლის მეურნეობის სექტორშია ჩართული. იმის გამო, რომ ადგილზე არ არსებობდა მყარი ინფრასტრუქტურა, რომელიც ნედლეულის ადგილზე დამუშავების, შეფუთვისა და ბრენდინგის საშუალებას მოგვცემდა, ევროკავშირის მიერ დაფინანსებული პროექტის „ბოლნისში ბიზნეს საქმიანობის ეფექტური პლატფორმის ჩამოყალიბება“ ფარგლებში შეიქმნა აგროცენტრი. საქართველოს მასშტაბით, ჩვენ ერთადერთი მუნიციპალიტეტი ვართ, რომელიც აგროცენტრის საშუალებით, ადგილობრივ დამწყებ ფერმერებს, მცირე და საშუალო მეწარმეებს პროდუქტის წარმოებაში ეხმარება. აგროცენტრმა ფუნქციონირება 2020 წელს დაიწყო და ის ფერმერებს ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე საკონსულტაციო მომსახურებას აწვდის, მათ ფინანსურ, იურიდიულ და მარკეტინგულ საკითხებში დახმარებას უწევს. ცენტრი ასევე ფერმერებს თანამედროვე დანადგარების გამოყენებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეფუთვის, ეტიკეტირების, გაფილტვრისა და ბოთლებში ჩამოსხმის მობილურ სერვისსაც სთავაზობს. აღსანიშნავია, რომ აგროცენტრი მეწარმეებს ეხმარება სარეალიზაციო ბაზრების მოძიებაშიც, რომლის ფარგლებშიც ადგილობრივმა 30-მა საოჯახო მარანმა თავიანთი ღვინოების გატანა პოლონეთის ბაზარზე შეძლეს. აღნიშნულმა პროექტმა, ბოლნისის მუნიციპალიტეტს მისცა დიდი გამოცდილება როგორც დონორებთან ურთიერთობის, ასევე კერძო და სამოქალაქო სექტორთან თანამშრომლობის თვალსაზრისით. პროექტმა ნათლად წარმოაჩინა მუნიციპალიტეტის როლი ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებასა და ბიზნესისა და მეწარმეების მხარდაჭერაში. მინდა დიდი მადლობა გადავუხადო საქართველოს ადგილობრივ თვითმმართველობათა ეროვნულ ასოციაციას დაფასებისთვის, ამ ნომინაციაში გამარჯვება ჩვენთვის ერთგვარი დასტურია იმისა, რომ მუნიციპალიტეტი განვითარების სწორ გზას ადგას. ეს ჯილდო ჩვენთვის არის მოტივიაცია იმისა, რომ სამომავლოდაც, დიდი შემართებით, არაერთი მნიშვნელოვანი პროექტი განვახორციელოთ",- განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა.

მალე ბოლნისში „ზრდასრულთა განათლების ცენტრი“ გაიხსნება

სწავლა მთელი სიცოცხლის მანძილზე - ამ კონცეფციაზე დაყრდნობით ბოლნისში მალე „ზრდასრულთა განათლების ცენტრი“ გაიხსნება. ყოფილი არქივის შენობა ახალ სიცოცხლეს შეიძენს, სადაც ყველა ასაკის ადამიანს საშუალება ექნება პიროვნული განვითარებისა და პროფესიული განათლების კურსები გაიაროს, მიიღოს არაფორმალური განათლებადაჩაერთოსსხვადასხვასოციალურ, კულტურულ და სამოქალაქო აქტივობებში. „ზრდასრულთა განათლების ცენტრი“ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად რემონტდება. შენობა ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირებზე. საგანმანათლებლო სივრცეში მიმდინარე სარემონტო სამუშაოები დღეს ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა პირველ მოადგილესთან ერთად დაათვალიერა.

ზრდასრულთა განათლების ცენტრის მიზანია ადგილობრივი მოსახლეობის დაახლოება და ეკონომიკური გაძლიერება, ცენტრი მსურველებს შესაძლებლობას მისცემს დაეუფლონ სხვადასხვა მიმართულებებს, გამოცხადებულია ვაკანსიები როგორც მასწავლებლის, ისე მსმენელის პოზიციებზე. სწავლება გერმანულ მოდელს ეყრდნობა. „ზრდასრულთა განათლების ცენტრი“ ბოლნისში, სახალხო უნივერსიტეტის გერმანული ასოციაციის საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტიტუტის (DVV International) საქართველოს ორგანიზებითა და დაფინანსებით შეიქმნა.

ცენტრში განთავსდება სხვადასხვა საგანმანათლებლო, შემეცნებითი და საკონფერენციო სივრცეები, რომელიც დაინტერესებული ადამიანებისთვის შეკრების ადგილი გახდება. ადმინისტრაციას სამომავლოდ დიდი გეგმები აქვს, აქვე გაიხსნება სოციალური საწარმო და განხორციელდება მოსახლეობაზე ორიენტირებული პროგრამები.

"სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" გრძელდება

საქართველოს მთავრობის გადაწყვეტილებით, „სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" 2021 წელსაც განხორციელდება, ამასთან დაკავშირებით, ბოლნისის მუნიციპალიტეტის ყველა სოფელში ერთი თვის განმავლობაში საერთო კრებები მიმდინარეობდა, ადგილობრივმა თვითმმართველობის წარმომადგენლებმა, მოსახლეობასთან ერთად განიხილეს აქტუალური საკითხები, განხორციელებული და დაგეგმილი პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული სამუშაოები. მიმდინარე წელს „სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ბოლნისის მუნიციპალიტეტისთვის 714 000 ლარია გამოყოფილი. მუნიციპალიტეტი, პროექტების განსახორციელებლად, 100%-იანი დაფინანსების ვალდებულებას იღებს, ჯამში კი, აღნიშნული პროგრამის ფარგლებში 1 428 000 ლარი დაიხარჯება.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში მოსახლეობასთან შეხვედრები 11 თებერვალს დაიწყო, სადაც პრიორიტეტად კვლავ გარე განათება, შიდა გზების მოწყობა, სასმელი და სარწყავი წყლის მოწესრიგება, შემოღობვითი სამუშაოები და საბავშვო მოედნების მოწყობა დასახელდა.

შიდა გზების მოწესრიგების - მოხრეშვის სამუშაოები, მოსახლეობის მოთხოვნით სოფლებში: საბერეთში, ქრეშში, მწყნეთში, დისველში, ზვარეთში, ზემო ბოლნისსა და ცურტავში შესრულდება.

სოფელ დარბაზში, ვანათში, ბალახაურსა და სამწევრისში მოსახლეობისთვის პრიორიტეტად კვლავ სასმელი წყლის სისტემის მოწესრიგება და რეზერვუარის რეაბილიტაცია რჩება, სანიაღვრე ქსელები მოწესრიგდება ასევე სოფელ ზემო ბოლნისსა და სოფელ ბოლნისში.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში, სოფელ აკაურთაში არსებული გზის რეაბილიტაცია, სანიაღვრეების მოწესრიგება და საგზაო ნიშნების დადგმა იგეგმება, სკვერის კეთილმოწყობა და სტადიონზე განათებების დამონტაჟება გადაწყდა დაბა თამარისში. საბავშვო მოედანი გაკეთდება სოფელ რატევანში, ზემო არქევანში და ხატავეთში, მოსახლეობის თხოვნით სკვერები მოეწყობა, ხოლო ამბულატორიის შენობის მოწყობა პრიორიტეტად სოფელ კიანეთში გამოიკვეთა.

სახელმწიფო პროგრამით, ასევე ბოლნისის მუნიციპალიტეტის უმეტეს სოფლებში, ეტაპობრივად გაგრძელდება და დასრულდება გარე განათებების ქსელის მოწყობა.

,, ,,სოფლის მხარდაჭერის პროგრამის" ფარგლებში ადგილობრივ მოსახლეობას ყველა დასახლებაში შევხვდით და პირადად მოვისმინეთ ის საჭიროებები, რაც მათ წინაშე დგას. ამის ფარგლებში, ცენტრალური და მუნიციპალური დაფინანსებით, წელს მთელი რიგი მნიშვნელოვანი საკითხების მოგვარება დაიგეგმა. სამუშაოები უახლოეს პერიოდში დაიწყება.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ის ფაქტი, რომ მოსახლეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში აქტიურად იყოს ჩართული და განსახორციელებელი პროექტებიც სწორედ მათ შეარჩიეს. ვფიქრობ, ძლიერი სოფელი, ძლიერი ქვეყნის საწინდარია და ჩვენი ვალდებულებაა სოფლის განვითარებას მაქსიმალურად შევუწყოთ ხელი",- განაცხადა ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერმა, დავით შერაზადიშვილმა.

შეხვედრები მოსახლეობასთან ერთი თვის მანძილზე კოვიდრეგულაციების სრული დაცვით მიმდინარეობდა.

„სოფლის მხარდაჭერის პროგრამა" 2007 წლიდან ხორციელდება, პროგრამით სოფლებს მათთვის საჭირო ინფრასტრუქტურული პროექტების დამოუკიდებლად განხორციელების საშუალება ეძლევათ.

მარინა გავაშელი

,,აბულბუგის აბანოს''რეაბილიტაცია გრძელდება

საყდრისის კომიტეტმა ,,აბულბუგის აბანოს'' გადარჩენის მიზნით განხორციელებული სამუშაოების პროექტის პრეზენტაცია მოაწყო, სადაც ძეგლზე 2018 წლიდან დღემდე ჩატარებული სამუშაოები იყო წარმოდგენილი.

,,აბულბუგის აბანო'', რომელიც XVI-XVII საუკუნეებით თარიღდება, დიდი დმანისის ტერიტორიაზე, კომპანია ,,არემჯის'' საწარმოო არეალზე მდებარეობს. საყდრისის კომიტეტის ინიციატივითა და ,,არემჯი''-ს დაფინანსებით მოხდა ობიექტის შესწავლა, აბანო, არქეოლოგების ზედამხედველობით, მიწის საფარისგან გაიწმინდა, გასუფთავდა საკვამური, საკონსერვაციო ფენით დაიფარა დაზიანებული კედლები და გუმბათის ნაწილი, რომელიც მოხსნის შემგომ, ძველი იერსახით აღდგა. ძეგლის მდგომარეობა ჯერ კიდევ არა სტაბილურია, ამიტომ, უახლოეს მომავალში, კვლევების საფუძველზე, განახლდება გამაგრებითი სამუშაოები, რის შემდეგაც გახდება ცნობილი, რა სახით ვიხილავთ ,, აბულბუგის აბანოს''.

ნინო ბურჭულაძე-საყდრისის კომიტეტის წევრი:

ძეგლი მდებარეობს კომპანია ,,არემჯის'' საწარმოო ტერიტორიაზე ,სადაც მიმდინარეობს სამთო მოპოვებითი სამუშაოები,თუმცაამშემთხვევაშითავსებადი გახდა კულტურული მემკვიდრეობა და ბიზნესი. ბურღვა- აფეთქებითი სამუშაოები მიმდინარეობს სტანდარტის შესაბამისად, დაბალი მუხტით, სატვირთო მანქანებიც დაბალი სიჩქარით გადაადგილდებიან, რათა გამოწვეულმა ვიბრაციამ მეტად არ დააზიანოს ძეგლი, ტერიტორია შემოღობილია და დამონტაჟებულია სათვალთვალო კამერები. მიუხედავად თავდაუზოგავი შრომისა, ძეგლის მდგომარეობა მძიმეა, მიმდინარეობს სამომავლო ღონისძიებებისთვის მსჯელობა, რამდენიმე ვარიანტი განიხილება, რომელიც შემდგომი გამაგრებითი სამუშაოების შედეგად გადაწყდება.

ირაკლი შატაკიშვილი, არემჯის კორპორაციული დირექტორის მოადგილე საერთაშორისო და საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში:

კომპანია არემჯის და საყდრისის კომიტეტს შორის არსებობს შეთანხმება, რაც გულისხმობს კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების რეაბილიტაციას. ამ პროცესში, ჩვენ დაფინანსების კუთხით ვართ ჩართულები, დანარჩენი სამუშაოები ინიცირებულია კომიტეტის მიერ. ძეგლზე მონიტორინგს მუდმივად ახდენენ კომიტეტის წევრები. კომპანია მზადაა თანამშრომლობისთვის, მომავალშიც აქტიურად გავაგრძელებთ ძეგლების რეაბილიტაციის დაფინანსებას.

ბოლნისის თეატრი დიდი პაუზის შემდეგ სცენას უბრუნდება

მსოფლიო პანდემიის პერიოდში, უამრავ გამოწვევას შორის, ყველაზე მეტად ხელოვნების ის დარგები დაზარალდა, რომელთაც უშუალო კავშირი და კონტაქტი აქვს ფართო მაყურებელთან. დაწესებული შეზღუდვებიდან გამომდინარე ბოლნისის მუნიციპალურ თეატრს გარკვეული პერიოდი სპექტაკლების ჩვენება ონლაინ რეჟიმში უწევდა, რაც სრულიად არაკომფორტული აღმოჩნდა როგორც მსახიობებისთვის ასევე მაყურებლისთვის, თუმცა ახლა ახალი იდეებითა და დიდი გეგმებით იწყებენ მუშაობას, ცდილობენ შეიმუშაონ ისეთი ფორმა რომელიც ყველანაირ გამოწვევას გაუძლებს და რეგულაციების მიუხედავად კომფორტულ გარემოში შეძლებენ მაყურებლამდე მისვლას. მუდამ სიახლეების მოყვარული სამხატვრო ხელმძღვანელი, რომლის იდეებსაც საზღვარი არასდროს არ აქვს, ახლა კიდევ უფრო მრავალფეროვანი გეგმებით წარსდგა დასის წინაშე. ,,თამაშს არ აქვს საზღვარი, ეს იქნება თეატრი, ქუჩა, სხვენი, ველური ბუნება, მთავარია სურვილი და მიზანსწრაფვა“,აცხადებს ლაშა ნოზაძე.

16 მარტს, ბოლნისის თეატრში, პირველი შემოქმედებითი კონფერენცია გაიმართა. წარმოდგენილი და განხილული იქნა არსებული და სავარაუდო შემოქმედებითი გეგმები.

„ჩვენ მრავალფეროვანი რეპერტუარი გვჭირდება, სხვადასხვა გარემოზე ადაპტირებული, ვგულისხმობ ფორმებს - თამაშს არ აქვს საზღვარი, ეს იქნება თეატრი, ქუჩა, სხვენი, ველური ბუნება, მთავარია სურვილი და მიზანსწრაფვა - მუდმივად ახლოს ვიყოთ მაყურებელთან. გადაწყვეტილი გვაქვს რამდენიმე სპექტაკლის ერთდროულად ჩაშვება, რომელიც სხვადასხვა ასაკის მაყურებლის ინტერესსა და გემოვნებას დააკმაყოფილებს. ვითამაშოთ ყველგან, ყველასთვის და ყველაფერი, რაც ჩვენს ძალებს აღემატება. ჩვენი მიზანია მრავალფეროვნება სხვადასხვა ავტორის, რეჟისორისა და შემსრულებლის ჩართულობით შევქმნათ. ამ წუთისთვის რაც დანამდვილებით შემიძლია გითხრათ, პირველი, ვინც ჩვენ მრავალფეროვნების შექმნაში დაგვეხმარება, მოძრაობის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელი - იოსებ ბაკურაძე გახლავთ.



იოსებ ბაკურაძე:

- ასევე პარალელურ რეჟიმში ვიმუშავებთ სხვადასხვა მოწვეულ რეჟისორთან, ავტორთან და შემსურებელთან. თეატრის განვითარებისთვის უმნიშვნელოვანესია ექსპერიმენტები, კოლაბორაცია და ტემპი, მაყურებელთან ურთიერთობის ტემპი, რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი ხარისხში. გვსურს, მეგობრობის ხელი ჩამოვართვათ ყველა ქართულ თეატრს, მოვიწვიოთ და ვესტუმროთ მათ. აქტიური მონაწილეობა მივიღოთ ქვეყნის ფარგლებს გარეთ არსებულ თეატრალურ ფესტივალებში,“ განაცხადა თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა ლაშა ნოზაძემ.

განსაკუთრებული სიურპრიზი რაც ბოლნისელ მაყურებელს ელის ეს არის ,,არტ ეზო“, ამავე შეხვედრაზე წარმოდგენილი იქნა სწორედ კულტურის ცენტრისა და თეატრის ერთობლივი პროექტის პირველი მაკეტი - „არტ ეზო“ რომელიც კულტურის სახლის შიდა ეზოში განთავსდება და დაეთმობა შემოქმედებითი სფეროს ყველა მიმართულებას. მაკეტის ავტორია ნუგზარ გიორგაძე.

„ახალგაზრდული საბჭო“ მუშაობას განახლებული შემადგენლობით გააგრძელებს

„ახალგაზრდულმა საბჭომ“ განახლებული შემადგენლობით, მოტივირებული და აქტიური ახალგაზრდებით განაახლა ფუნქციონირება, რომელიც მუშაობას ახალგაზრდული სააგენტოს მხარდაჭერით და საქართველოს ,,წითელი ჯვრის'' საზოგადოების დახმარებით გააგრძელებს. საბჭოს მიზანია ახალგაზრდების მონაწილეობა ადგილობრივი მუნიციპალიტეტის საქმიანობის განხორციელებასა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში. წევრებმა სხვა ფუნქცია-მოვალეობასთან ერთად უნდა უზრუნველყონ ახალგაზრდების ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ცნობიერების ამაღლება და ინფორმირება მუნიციპალიტეტში მიმდინარე აქტივობებისა და პროექტების შესახებ. „ახალგაზრდული საბჭო“ 28 წევრისგან უკვე დაკომპლექტდა, რის შემდეგაც მოხდება თავმჯდომარის არჩევა და სამუშაო გეგმის გაწერა.

ახალგაზრდების გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩასართავად, ბოლნისის მუნიციპალიტეტის მერიის ბაზაზე, განათლებისა და ახალგაზრდობის საქმეთა განყოფილებასთან კოორდინაციით, „ახალგაზრდული საბჭო“ 2019 წლიდან ფუნქციონირებს.

გოგონა რომლის ცხოვრებაც პანდემიამ შეცვალა

პანდემიის პერიოდში საცხოვრებელი ადგილის შეცვლა, გართობისა და დროის გაყვანის მიზნით დაწყებული ხელსაქმე, საზოგადოებისგან დადებითი შეფასებები და საქმისადმი სერიოზული დაინტერესება, ეს ლიკა მაჭავარიანია. გაგაცნობთ ახალგაზრდა გოგონას, რომლის ცხოვრებაც პანდემიამ შეცვალა, თბილისიდან საცხოვრებლად ბოლნისში გადმოვიდა და დროის გაყვანის მიზნით, სხვადასხვა საქმიანობას მიჰყო ხელი.

„იმისთვის რომ დახატო, უნდა დახუჭო თვალები და იმღერო, ცხოვრება ძალიან ხანმოკლეა, უნდა ეცადო დაინახო და დაიჭირო ლამაზი წუთები, მიუხედავად არც თუ მარტივი ცხოვრებისა, ვცდილობ ყოველი დღე გავიფერადო“.

31 წლის ლიკა მაჭავარიანი პროფესიით ნეოგრეცისტია (ახალი ბერძნული ენის ფილოლოგი) დაიბადა და გაიზარდა თბილისში, 8 წლის იყო, როდესაც მამა გარდაეცვალა და დედას გასაზრდელად ორი შვილი დარჩა. მარტივი ბავშვობა არ ჰქონია, მაშინ როცა თანატოლები ერთობოდნენ, ლიკა ცდილობდა დრო უქმად არ დაეკარგა, შრომას ბავშვობიდან მიეჩვია, ისწავლა დროის ფასი. „დედას თითქმის სულ სამსახურში უწევდა ყოფნა, ამიტომ მე და ჩემმა დამ დამოუკიდებლად ცხოვრება პატარა ასაკში ვისწავლეთ, სხვა ბავშვები თუ ეზოში თამაშობდნენ, მე ბავშვობა წიგნით ხელში მახსოვს, დროის დიდ ნაწილს ბიბლიოთეკაში ვატარებდი, ეს იყო ადგილი, სადაც ძალიან მიყვარდა ყოფნა, ძალიან ჯიუტი ბავშვი ვიყავი და ეს თვისება ბევრჯერ გამომადგა.“

-ხელსაქმით რატომ დაინტერესდი?

-ხატვა სულ მომწონდა, ჩემი მშობლები კერამიკოსები იყვნენ, ნათლიები მხატვრების წრიდან და შესაბამისად ხელოვნების მიმართ ინტერესი ბავშვობიდან მქონდა. ერთი პერიოდი ვფიქრობდი სამხატვრო აკადემიაში ჩაბარებას, ანიმაციის განხრით, შემდეგ ბერძნული ენით დავინტერესდი, ზოგჯერ გული მწყდება ამ განხრით, რომ არ წავედი, თუმცა რომ არა ბერძნული ენის სიყვარული, ალბათ ჩემს მომავალ მეუღლესაც ვერ გავიცნობდი, მე და ნიკა ერთი პროფესიის ვართ, 2013 წელს შევქმენით ოჯახი, თბილისში ვცხოვრობდით, იქ ვმუშაობდით, პანდემიის პერიოდში გადმოვედით ბოლნისში და აქ დავრჩით, მეტი თავისუფალი დრო გამიჩნდა და ხელსაქმე დავიწყე, გასართობად და დროის გაყვანის მიზნით. „გართობას“ სერიოზული დაინტერესება მოჰყვა, საზოგადოებამ მოიწონა ნამუშევრები, რაც ჩემთვის დიდი სტიმულია, მეტი ახალი ნივთის შექმნის სურვილი მიჩნდება.

-ძირითადად რას აკეთებ?

-დეკორატიულ დაფებს, თიხის ანგელოზებს, რომლებიც ძალიან მხიარულები და კეთილები არიან, ყველას თვალები უბრწყინავს, ვფიქრობ, რომ ადამიანებს ყველაზე მეტად თვალებიდან მოციმციმე ვარსკვლავები უხდებათ. ნივთებს ჩემი გემოვნებით და სურვილის მიხედვით ვქმნი, თუმცა შეკვეთების შემთხვევაში, ვითვალისწინებ მომხმარებლის ინტერესს. ანგელოზები პირველად რამდენიმე წლის წინ გავაკეთე, მიუხედავად იმისა, არ ვიცოდი გამომივიდოდა თუ არა, ახლა თამამად შემიძლია ვთქვა, რომ შეუძლებელი არაფერია. შემდეგ ვცადე ტანსაცმლის მოხატვა, ესეც გამომივიდა, დღეს უკვე ყველა ზედა მოვხატე, რაც სახლში გვაქვს. ახლა ახალი გატაცება მაქვს, ფოტოების ხეზე გადატანა, რაც ძალიან ლამაზია.

-როგორია შენი ნამუშევრები?

-ჩემი ნამუშევრები ფერადი და ნათელია, ყველა საკუთარი შვილივით მიყვარს, და ძალიან მტკივა გული, როდესაც ცუდ შეფასებას ვისმენ, მე ხომ ყველა ნივთს სიყვარულით ვქმნი. მთავარია ყველამ ის ვაკეთოთ, რაც შეგვიძლია.

-რა მასალას იყენებ?

-ამ ეტაპზე თიხაზე აკრილით ვმუშაობ, ვეცნობი ახალ ტექნოლოგიებსაც, ვცდილობ ამ კუთხით ბევრი ვისწავლო და გავიზარდო. ხელსაქმე დროის სასიამოვნოდ გატარების ერთ-ერთი გზაა. ამ ეტაპზე სამსახური არ მაქვს, ამიტომ უამრავი თავისუფალი დრო მრჩება, საზოგადოების დაინტერესებაც არის. მცირე რაოდენობით, თუმცა იყიდება ნივთები, თანხით კი საჭირო მასალას ვყიდულობ.

-გაქვს თუ არა სამუშაო სივრცე და როდის იწყებ მუშაობას, ხასიათს თუ აქვს მნიშვნელობა?

-სამწუხაროდ, ამ ეტაპზე მუშაობისთვის სპეციალური ოთახი არ მაქვს, სადაც მომიხერხდება იქ ვმუშაობ, ეს საკმაოდ რთულია, სამომავლოდ აუცილებლად გავაკეთებ ერთ ოთახს სახელოსნოდ, ზოგადად მივეჩვიე ყველაფრის ჩემით კეთებას, ავეჯი იქნება ეს თუ რემონტი. ამიტომ სახელოსნოსაც ჩემი გემოვნებით მოვაწყობ, რაც შეეხება მუშაობის დაწყებას, რა თქმა უნდა ამის განწყობა უნდა მქონდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში ისეთი არ გამომდის. მგონია, რომ დადებითი განწყობა და ხასიათი ყველაფერზე მოქმედებს.

-სამომავლო გეგმებზე მოგვიყევი.

-მომავალში მინდა ჩემმა ნამუშევრებმა სხვა რეგიონებიც მოიცვას და უფრო სერიოზული სახე მივცე, ამისთვის ბიზნეს გვერდის შექმნას

და გარეკლამებას ვფიქრობ. ვიმედოვნებ, სხვა მუნიციპალიტეტიდანაც ანალოგიურად დადებითი გამოხმაურება მოჰყვება.

მაგდა დევნოზაშვილი

თვითნასწავლი შემოქმედი

ულამაზესი, გამორჩეულ ფერთა შეხამებით შექმნილი ხელნაკეთები, მოქსოვილი თოჯინები, ნაქრის აქსესუარები, საახალწლო დეკორაციები, ანგელოზები, ხის ვარსკვლავები, ნაძვის ხის სათამაშოები, სათამაშო ბალერინები, მოქსოვილი ჩანთები, ნაქარგები, ყელსაბამები - ეს იმ ნამუშევრების არასრული ჩამონათვალია, რომელსაც ჩვენი რესპონდენტი ირმა მღვდელაძე ქმნის. ირმა ბოლნისში დაიბადა, სწავლობდა დაბა კაზრეთის 1 საჯარო სკოლაში, მე-9-ე კლასის დამთავრების შემდეგ, სწავლა თოიძის სამხატვრო პროფესიულ სასწავლებელში გააგრძელა. 2002 წელს კი ა.ქუთათელაძის სახელმწიფო სამხატვრო აკადემიაში ისწავლა მოდელიორ-დიზაინერის განხრით. ჰყავს მეუღლე და 2 შვილი

-ირმა, როდის აღმოაჩინეთ თქვენში ის უნარები, რამაც პროფესია აგარჩევინათ?

-სიმართლე რომ გითხრათ, გატაცებული ვიყავი ქართული ქორეოგრაფიით, ცეკვას თავი რომ დავანებე, დავიწყე მოცეკვავეების ხატვა, რომლებსაც ეროვნულ ტანისამოსს ვაცმევდი. ვხატავდი პორტრეტებს და პეიზაჟებს. ეს ყველაფერი მეშვიდე კლასიდან დაიწყო და მას მერე მონაწილეობა მივიღე არაერთ გამოფენაში. მიღწეულმა წარმატებებმა და დიდმა მოწონებამ განაპირობა, თოიძის სასწავლებელში გამეღრმავებინა ცოდნა.

-ამბობთ, რომ ცეკვა ძალიან გიყვარდათ, რა მიზეზით წამოხვედით წრიდან?

-7 წლის ვიყავი, როცა ანსამბლში „კიდევაც დაიზრდებიან“ შევდგი ფეხი. 5 წელი მისი აქტიური წევრი ვიყავი, ვმოგზაურობდით არაერთ ქვეყანაში, ვმონაწილეობდით ფესტივალებზე, მიღებული მაქვს პრიზი, დიპლომი. სამწუხაროდ, ანსამბლი დაიშალა.

- ქორეოგრაფიულ ანსამბლში მოღვაწეობას როგორ შეელიეთ?

-ძალიან დიდი გულისტკივილით, დღემდე მახსოვს ბავშვური ემოციები და სიყვარული ცეკვის მიმართ, ანსამბლის დაშლით გამოწვეული ტკივილი მინდოდა ხატვით გადმომეცა. დავიწყე ხატვა, ინტერესი უფრო და უფრო მიღრმავდებოდა, ფერთა შეხამება ძალიან მომწონდა.

-თქვენს შემოქმედებაში ქართული ცეკვისადმი დიდი ინტერესი და სიყვარული იკითხება.

-კი, ნამდვილად ასეა, ცეკვის შემდეგ ხატვა ჩემთვის მნიშვნელოვანი გახდა. მანამდე ფანქარიც კი არ მჭერია ხელში, ემოციებს და სიყვარულს ხატვით გადმოვცემდი და ეს ძალიან დიდ სიამოვნებას მანიჭებდა.

-ხატვის წრეზე ხომ არ დადიოდით?

-ხატვის პედაგოგთან არ მივლია, თვითნასწავლი ვიყავი, თოიძეში რომ ჩავაბარე, ბოლო წელს მომამზადა ჩემმა ლექტორმა და სწავლა სამხატვრო აკადემიაში გავაგრძელე.

-გარდა ხატვისა, ფლობთ სხვადასხვა უნარებს, ასევე ქსოვთ, ამის შესახებაც მომიყევით

-ხატვით აღარ ვხატავ, ქსოვაში გადავიტანე ჩემი ემოცია, ვქმნი სხვადასხვა გმირებს. სადიპლომო ნამუშევარში შევქმენი ნაქსოვი ტანსაცმელი. თემა არჩეული მქონდა „ნიკორწმინდა“, ნაქსოვში ჩავრთე ტაძრის ორნამენტები, ფერები და ნიკორწმინდის ტაძარი. სასწავლებელშიც მასწავლიდნენ ქსოვას, ოღონდ მანქანაზე, მაგრამ დამთავრების შემდეგ, უმუშევრად დარჩენილმა, გადავწყვიტე შემექმნა აქსესუარები და ხალხისთვის მეჩვენებინა, 2012 წელს დავიწყე ქსოვა და ამის შემდეგ, წამოვიდა ზღვა იდეები.

- სოციალურ ქსელში თქვენს მიერ შექმნილ ნივთებს აქვეყნებთ, თავდაპირველად იყო სხვადასხვა ფერისა და დიზაინის ქუდები, საიდან გაჩნდა იდეა?

-ქუდების ქსოვა იმიტომ დავიწყე, რომ 3-4 წელი უმუშევარი ვიყავი, პერიოდულად ხატვის პედაგოგს ვცვლიდი სკოლაში, მაგრამ ეს დროებითი სამუშაო იყო, შემდეგ იყო პროფესიული სასწავლებელი, სადაც ერთი წელი ბიბლიოთეკარად და ღონისძიებების წამყვანად ვმუშაობდი, დაიხურა, დავრჩი უმუშევარი. უმუშევრობამ გადამაწყვეტინა შემექმნა განსხვავებული და გამორჩეული სტილის ქუდები. საიტს რაც შეეხება, მინდოდა მისი საშუალებით ენახათ ჩემი ნამუშევრები. რამაც გაამართლა, ბევრმა გამიცნო.

-ანუ, საყვარელი საქმე შემოსავლის წყაროდ აქციე?

-დიახ, ვფიქრობდი საიტის საშუალებით ბევრი დაინტერესდებოდა და შეიძენდა ჩემს ნამუშევრებს. ვიღებდი შეკვეთებს და ვყიდდი. ქუდებთან ერთად შევქმენი სხვადასხვა საქორწილო აქსესუარი. საქორწილო თაიგულები, რომლის თითოეულ ყვავილს ჩემი ხელით ვქმნი. აბადოკები, ფაჩუჩები, პატარა ჩანთები, საახალწლო აქსესუარები, სადღესასწაულო ნივთები, დეკორატიული განათებები და ბოლოს, სათამაშოები.

-ყველაზე მეტად რისი გაკეთება გსიამოვნებთ?

-მიყვარს და მომწონს ჩემი საქმიანობა, დიდ სიამოვნებას მანიჭებს ქსოვა და სხვადასხვა ნივთების აწყობა.

-ხომ არ აპირებთ საქმიანობის გაფართოებას?

-გაფართოებას რაც შეეხება, მინდა მრავალფეროვანი გავხადო, რომ მომხმარებელმა, ჩემი ნამუშევრების მიმართ ინტერესი არ დაკარგოს. მოწონება დიდია, მაგრამ საფასური ეძვირებათ. განსაკუთრებით, ამ პანდემიის ფონზე ძალიან გაჭირდა ცხოვრება.

-ირმა, ხომ არ გიფიქრიათ გაგეხსნათ წრე, სადაც შეძლებდით მოსწავლეების მიღებას?

-ძალიან კარგი იქნებოდა, მაგრამ არ მაქვს საშუალება, რომ გავხსნა რამე და მივიღო ბავშვები. მოთხოვნები წამოვიდა წლების წინ, მაგრამ პირობების გამო, უარი ვთქვი.

-ირმა, სამომავლო გეგმებზე მოგვიყევით.

-არ ვიცი, ცხოვრება როგორ წავა, გეგმები და იდეები ბევრია, ყველაფერს ფინანსები სჭირდება, რაც, სამწუხაროდ, არ მაქვს. მაგრამ ადრე თუ გვიან, მჯერა მიზანს მივაღწევ, ღვთის წყალობით.

- მომიყევით თქვენს ოჯახზე და მის როლზე თქვენს წარმატებაში, რომ არა მათი მხარდაჭერა, როგორ ფიქრობთ, იქნებოდით ის, ვინც ხართ?

-მყავს მეუღლე და 2 ვაჟკაცი, რომლებსაც ძალიან მოსწონთ ჩემი საქმე და ცდილობენ, რომ რამე შეისწავლონ ჩემგან, უფროს ვაჟს აინტერესებს ხატვა და ძერწვა. ბევრ რამეს ვქმნით ერთად. ოჯახმა დიდი როლი ითამაშა ჩემ სფერში, რომ არა მათი მხარდაჭერა ამდენს ალბათ ვერ მივაღწევდი, ან თუ მივაღწევდი, ძალიან გვიან. მიყვარს ჩემი ხელოვნება და დიდი სიყვარული გამაჩნია მის მიმართ

-რას ეტყოდით მომავალ თაობას და ჩვენი გაზეთის მკითხველს?

-მომავალ თაობას ვეტყოდი, რომ არასდროს დანებდნენ, იბრძოლონ და ადრე თუ გვიან, გაუმართლებთ. უღრმეს მადლობას გიხდით „გაზეთ ბოლნისის“ რედაქციას დაინტერესებისთვის. მადლობა პირადად შენ ყველაფრისთვის, თქვენს გაზეთს კი წინსვლას და ბევრ მკითხველს ვუსურვებ.

-მადლობა საინტერესო საუბრისთვის, გისურვებთ წარმატებებს.

ნონა ხუზმიაშვილი

“Kəndlərə Dəstək Proqramı” davam edir

Gürcüstan Hökumətinin qərarına əsasən “Kəndlərə Dəstək Proqramı” 2021-ci ildə həyata keçiriləcək. Bununla əlaqədar olaraq bir ay ərzində Bolnisi Bələdiyyəsinin bütün kəndlərində ümumi yığıncaqlar keçirildi, yerli özünüidarəetmə nümayəndələri əhali ilə cari məsələləri, həyata keçirilən və planlaşdırılan prioritet infrastruktur işlərini müzakirə etdilər. Bolnisi Bələdiyyəsi üçün “Kəndlərə Dəstək Proqramı” çərçivəsində bölgələrdə həyata keçiriləcək layihələr fondundan 714 000 lari ayrılmışdır. Bələdiyyə, layihələrin icrası üçün 100% maliyyə təmin etməyi öhdəsinə götürmüşdür. Sözügedən proqram çərçivəsində bu il ümumilikdə 1 428 000 lari xərclənəcəkdir.

“Kəndlərə Dəstək Proqramı” çərçivəsində əhali ilə görüşlər 11 Fevralda başladı, burada prioritet yenidən xarici işıqlandırma, daxili yolların düzəldilməsi, içməli və suvarma suyunun tənzimlənməsi, çəpərləmə işləri və uşaqlar üçün oyun meydançalarının düzəldilməsi idi.

Əhalinin istəyi ilə daxili yol təmir işləri - Sabereti, jreşi, Mcğneti, Disveli, Zvareti, Zemo Bolnisi və Çurtavi kəndlərində aparılacaqdır.

Darbazi, Vanati, Balaxauri və Samcevrisi kəndlərində əhali üçün prioritet hələ də içməli suyun tənzimlənməsi və su anbarının bərpasıdır, Zemo Bolnisi kəndlərində və Bolnisi kəndində də drenaj şəbəkələri tənzimlənəcəkdir.

“Kəndlərə Dəstək Proqramı” çərçivəsində Akaurta kəndində mövcud yolun bərpası, drenajların düzəldilməsi və yol nişanlarının qoyulması planlaşdırılır, meydanın abadlaşdırılmasına və stadiona işıqların qoyulmasına Daba Tamarisidə qərar verildi. Ratevani, Zemo Arkevani və Xataveti kəndlərində uşaq meydançaları inşa ediləcək, əhalinin istəyi ilə meydançalar təşkil ediləcək və Kianeti kəndində prioritet olaraq ambulatoriya binası təşkil edildi.

Dövlət proqramına görə, Bolnisi Bələdiyyəsinin əksər kəndlərində olduğu kimi, xarici işıqlandırma şəbəkəsinin təşkili mərhələlərlə davam etdiriləcək və tamamlanacaqdır.

,, ,,Kəndlərə Dəstək Proqramı çərçivəsində bütün yaşayış məntəqələrində yerli əhali ilə görüşdük və onların ehtiyaclarını şəxsən dinlədik. Bunun bir hissəsi olaraq, bu il mərkəzi və bələdiyyə maliyyəsi ilə bir sıra vacib məsələlərin həlli planlaşdırılır. İşlər yaxın gələcəkdə başlayacaq.

Əhalinin qərar qəbuletmə prosesində fəal iştirak etməsi və həyata keçiriləcək layihələrin onlar tərəfindən seçilməsi xüsusilə vacibdir. Güclü bir kəndin güclü bir ölkə üçün bir şərt olduğunu düşünürəm və kənd inkişafına mümkün qədər dəstək vermək borcumuzdur ”,- Bolnisi Bələdiyyə meri Davit Şerazadişvili bildirib.

Əhali ilə görüşlər bir ay ərzində qaydalara tam uyğun olaraq aparıldı.

“Kəndlərə Dəstək Proqramı” 2007-ci ildən bəri həyata keçirilir, proqram kəndlərin ehtiyac duyduğu infrastruktur layihələrini müstəqil şəkildə həyata keçirməsinə imkan verir.

Tezliklə Bolnisidə "Gənclər Təhsil Mərkəzi" açılacaqdır

Həyat boyu öyrənmə - Bu konsepsiyaya əsaslanaraq, tezliklə Bolnisidə “Gənclər Təhsil Mərkəzi” açılacaqdır. Keçmiş arxiv binası hər yaşda insanların fərdi inkişaf və peşə təhsili kursları keçmək, qeyri-rəsmi təhsil almaq və müxtəlif sosial, mədəni və vətəndaş fəaliyyətləri ilə məşğul olmaq imkanı qazanacaqları yeni həyata başlayacaqdır. "Gənclər Təhsil Mərkəzi" müasir standartlara uyğun təmir olunur. Bina fiziki məhdudiyyəti olan şəxslər üçün uyğunlaşdırılmışdır. Bolnisi Bələdiyyə Başçısı Bələdiyyə sədrinin birinci müavini ilə birlikdə təhsil məkanında davam edən təmir işlərinə nəzarət etdi.

Gənclər Təhsili Mərkəzinin məqsədi yerli əhalini yaxınlaşdırmaq və iqtisadi cəhətdən gücləndirməkdir, mərkəz fərqli istiqamətlərə yiyələnmək istəyənlərə imkan verəcək, həm müəllim, həm də dinləyici vəzifələri üçün vakansiyalar elan edilmişdir. Tədris alman modelinə əsaslanır. "Gənclər Təhsil Mərkəzi" Bolnisi şəhərində, Gürcüstan Xalqlar Birliyinin Beynəlxalq Əməkdaşlıq İnstitutu (DVV International) tərəfindən təşkil edilmiş və maliyyələşdirilmişdir.

Mərkəzdə maraqlı insanların toplaşdığı yerə çevriləcək müxtəlif təhsil, idrak və konfrans məkanları yerləşəcəkdir. Rəhbərliyin gələcək üçün böyük planları var, burada bir sosial müəssisə açılacaq və əhali haqqında yönümlü proqramlar həyata keçiriləcəkdir.

სიახლეები

არემჯი

რიჩ მეტალს გრუპი

არემჯის სასტიპენდიო პროგრამა 2021 დაიწყო

„არემჯის“ და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის 3 წლიანი თანამშრომლობის შემდეგ, კომპანია აგრძელებს სტუდენტებისთვის სხვადასხვა პროგრამების შეთავაზებას და სტუ-ს მხარდაჭერას. „გახდი სამთოელი“ - „არემჯის“ ახალი კამპანიაა, რომელიც მიზნად ისახავს სამთო და გეოლოგიური პროფესიების პოპულარიზაციას.

2017 წელს ,,არემჯისა“ და საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტს შორის გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში არაერთი წარმატებული პროექტი განხორციელდა. 2018 წელს კომპანიამ სამთო-გეოლოგიური, ქიმიური ტექნოლოგიისა და მეტალურგიის ფაკულტეტის სტუდენტებისთვის სტიპენდია დააწესა. დღეისათვის ,,არემჯის“ უკვე 30-ზე მეტი სტიპენდიანტი ჰყავს.

ყოველწლიურად სტუ-ს დაწყებითი კურსის სტუდენტებს, „არემჯი“ სასწავლო-საველე პრაქტიკებზე მასპინძლობს, სადაც ახალბედა სამთოელები ამიერკავკასიაში უმსხვილესი სამთო-მოპოვებითი კომპანიის წარმოების სრულ ციკლს ეცნობიან.

სამთო-გეოლოგიური ფაკულტეტიდან შერჩეული მოტივირებულ და მაღალი აკადემიური მოსწრების მქონე სტუდენტებს საშუალება აქვთ გახდნენ „არემჯის“ საზაფხულო სკოლის მონაწილეები. პროექტი ერთთვიან ანაზღაურებად პრაქტიკას ითვალისწინებს, რომლის დასრულების შემდეგ საუკეთესო სტუდენტებს კომპანიაში დასაქმების რეალური შანსი ეძლევათ.

„დიდი კომპანია ეს არის დიდი სოციალური პასუხისმგებლობა, რაც გულისხმობს ქვეყნის მომავალზე და ქვეყნის წარმატებაზე ზრუნვას. სწორედ ამ ჭრილში ჩვენი კომპანია ტექნიკურ უნივერსიტეტთან ერთად რამდენიმე პროექტს ახორციელებს. წელს დავიწყეთ ახალი კამპანია „გახდი სამთოელი“. მივმართავთ და ვცდილობთ მოვიზიდოთ ყველა ის ახალგაზრდა ვისაც ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება მომავალ პროფესიასთან დაკავშირებით, რათა დაინტერესდნენ სამთოელის, გეოლოგის პროფესიით და გახდნენ ჩვენი გუნდის წევრები. ვფიქრობ ჩვენ საწარმოში მიღებული ცოდნა და პრაქტიკული გამოცდილება მომავალში მათ პროფესიონალებად ჩამოყალიბებას შეუწყობს ხელს.“ - **განაცხადა „არემჯის“ აღმასრულებელი დირექტორის მოადგილე ადამიანური რესურსების საკითხებში გიორგი ჩხეიძემ.**

დმანისში საგანმანათლებლო პროექტ „დიდგორელის“ ფინალური ტური გაიმართა

საგანმანათლებო პროექტ ,,დიდგორელმა“ მესამე მუნიციპალიტეტი მოიცვა, თეთრიწყაროს და ბოლნისის ,,დიდგორელებს''დმანისის სკოლის მოსწავლეები შეემატა. სასკოლო ისტორიულ კონკურსში დმანისის მუნიციპალიტეტის ყველა საჯარო და კერძო სკოლა ჩაერთო. კონკურსის მესამე ტურში, სპეციალური 100 კითხვიანი ტესტიდან მაქსიმალური ქულით გამარჯვებული სოფელ ჯავახის საჯარო სკოლის მოსწავლე ჟანა ოქრიაშვილი გახდა, რომელიც პროექტის გენერალური სპონსორისგან ,,არემჯისგან“ ექვსი თვის განმავლობაში სტიპენდიას მიიღებს.

სასკოლო კონკურსის მასშტაბები და მნიშვნელობა ყოველწლიურად იზრდება, ისტორიის პოპულარიზაციის გარდა პროექტი მწერლების გაცნობასა და ცოდნის გაღრმავებას ემსახურება. 2020 წელს ექსკურსიების სახით ახალი კომპონენტი ,,დიდგორელის ტური“ დაემატა, რომლის მიზანიცაა სხვადასხვა ისტორიული ადგილების მონახულება და ლექცია -სემინარების ჩატარება.

საგანმანათლებლო პროექტი ,,დიდგორელი'' მალე საქართველოს სხვა რეგიონებს მოიცავს.

ნოდარ იასაღაშვილი

სარემონტო მექანიკური საამქროს უფროსი

ნოდარ იასაღაშვილმა სკოლის დამთავრების შემდგომ ჩრდილოეთ ოსეთის სამთო-მეტალურგიულ ინსტიტუტში ჩააბარა, ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების გამო 1990 წელს სწავლა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის, „მადნეულის ფილიალის“ დაუსწრებელ ფაკულტეტზე გააგრძელა ინჟინერ-მექანიკოსის სპეციალობით. პარალელურად დაიწყო მუშაობა მაშინდელი მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატის სარემონტო მექანიკურ საამქროში, ხარატის მოსწავლედ და შემდგომ ხარატად. საქმისადმი დიდი სიყვარულისა და პასუხისმგებლობის გამო, 1993-2000 წლებში ცვლის ოსტადად დაინიშნა, 2000-2010 წლებში საამქროს უფროსის მოადგილედ, ამჟამად კი კომპანიაში, სარემონტო მექანიკური საამქროს უფროსის თანამდებობას იკავებს. „არემჯის“ მენეჯმენტის გადაწყვეტილებით, საწარმოში დაწესებული სამთოელის დღესთან დაკავშირებით მას 2020 წლის საუკეთესო „სამთოელის“ ჯილდო გადაეცა.

„მეამაყება, რომ ვარ ასეთი წარმატებული კომპანიის წარმომადგენელი, არ ვზოგავ თავს ჩემს თანამშრომლებთან ერთად მეტი საქმე გავაკეთო კომპანიის საკეთილდღეოდ, რომელიც ხალხის და ქვეყნის წინსვლაზე აისახება. ,,არემჯი'' არის ქვეყანაში ერთ-ერთი ძლიერი და წარმატებული კომპანია, რომელიც ზრუნავს თანამშრომლების და ახლო მდებარე მუნიციპალიტეტების კეთილდღეობაზე. კომპანია საქართველოს მასშტაბით ბევრ სოციალურ პროექტს ახორციელებს. განვლილი მძიმე წლების შემდეგ ვრწმუნდები, რომ საყვარელი საქმის კეთება და მომავალზე ფიქრი ყოველთვის კარგის მომტანია და მინდა მომავალ თაობას მეტი წინსვლა და წარმატება ვუსურვო ქვეყნის აღორძინებაში“.

სარედაქციო კოლეგია

მთავარი რედაქტორი: ნინო კარგარეთელი

პასუხისმგებელი მდივანი: ბელა ონიანი, ტექნიკური რედაქტორი: ხატია ფოცხვერაშვილი, ჟურნალისტები: დარეჯან ოქრუაშვილი, მაგდა დევნოზაშვილი, ნონა ხუზმიაშვილი, მარინა გავაშელი. სტილისტი: ლილი უგრეხელიძე, კომპიუტერის ოპერატორი: ნანული მუშკუდიანი, ფინანსური მენეჯერი: ლენა გოგოლაძე.